საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5879
05/10/2022

5879-21-2-202210051057

შპს „დარჩის“
მის: ქ. თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა №10, სართული 3, ლიტ. „ა“
ელ. ფოსტა: apapunashvili@grpc.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4158 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „დარჩის“ მდ. დარჩი-ორმელეთზე ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი - 18 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს N1 და N2 სანაყაროს ნაპირსამაგრი ნაგებობების განთავსების GPS კოორდინატები (Shp ფაილების მითითებით);
- წარმოდგენილი უნდა იქნეს სათავე კვანძის, სადაწნეო მილსადენის, სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობის, საპროექტო სამშენებლო ბანაკის, ტურბინებში გადამუშავებული წყლის გამყვანი მილსადენის და ენერგიის ჩამქრობი ჭის GPS კოორდინატები;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო გზის და ნაპირსამაგრი ნაგებობების სიგრძე და GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სადერივაციო მილსადენის ტრასაზე, სადაც საველე კვლევისას დაფიქსირდა ფერდობიდან ჩამონადენი, მოეწყობა სპეციალური წყალგამტარი ნაგებობები, მიმდებარე ფერდობიდან ჩამოდინებული წყლის ნაკადების მილსადენზე ზემოდან გადასატარებლად. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული წყალგამტარი ნაგებობები განთავსების GPS კოორდინატები (Shp ფაილების მითითებით);
- წარმოდგენილი უნდა იყოს ენერგიის ჩამქრობი ჭის ქვედა ბიეფში მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობის (ქვის რისბერმა) პარამეტრები და GPS კოორდინატები (Shp ფაილების მითითებით);

- წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, საპროექტო გზა და ნაპირსამაგრი ნაგებობა კვეთს დროებითი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიას, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი დროებითი სამშენებლო ბანაკის გენგეგმაზე მითითებულია არმატურის საჭრელი დანადგარი და სამრეცხაო, რაც საჭიროებს აღნიშნული ობიექტებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას, ასევე დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ბანაკის წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, თავდაპირველი პროექტით დაგეგმილი იყო 10 მისასვლელი გზის მოწყობა, დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია 3 მისასვლელი გზის მოწყობა. ვინაიდან, გარემოსდაცვით გადაწყვეტილების თანახმად გათვალისწინებული იყო 8 მისასვლელი გზის მოწყობა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სანაყაროები ცალკე პროექტის სახით იქნება წარდგენილი გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ვინაიდან, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება ერთი არქეოლოგიური ობიექტი - ლახანი, სადაც დადასტურებულია რკინის წიდები და კერამიკული მილის ფრაგმენტები, აღნიშნული ტერიტორია, არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო სამუშაოები არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორიაზე უნდა წარიმართოს არქეოლოგის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო